


დამტკიცებულია
თსსუ-ის აკადემიური საბჭოს
სხდომაზე,
ოქმი № 12, 23.05.2022



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

განხილულია
თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომაზე,
ოქმი № 13, 20.05.2022



ასოცირებული პროფესორი თამარ ჩიკვილაძე,
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი



ფარმაციის ფაკულტეტი

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი

საგანმანათლებლო პროგრამა

თბილისი

2022

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება -	ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა
კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი -	ფარმაციის ბაკალავრი
სწავლების ენა -	ინგლისური ენა
პროგრამის მოცულობა -	240 (1 ECTS კრედიტი - 30 საათი)
სწავლის ხანგრძლივობა -	4 წელი (8 სემესტრი)
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი -	ასოცირებული პროფესორი ანა ბოჟაძე

პრეამბულა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტს აქვს დიდი გამოცდილება, ტრადიციები, შესაბამისი ადამიანური რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვალიფიციური ფარმაციის ბაკალავრების მოსამზადებლად. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2012 წლის 06 სექტემბერს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 353, ოქმი N 11).

ფარმაცია სწრაფად და დინამიურად განვითარებადი დარგია. დღეს როგორც მსოფლიოს, ასევე ქართული ფარმაცევტული ბაზარი მრავალრიცხოვანი სამკურნალო საშუალებებითაა წარმოდგენილი. კვალიფიციური სამედიცინო დახმარების თანმდევი შესაბამისი ფარმაცევტული დახმარება და რაციონალური ფარმაკოთერაპია, რაც შეუძლებელია კვალიფიციური ფარმაცევტული კადრების გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა, შეესაბამება რა თსსუ-ის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და სტრატეგიული განვითარების პოლიტიკას, ითვალისწინებს კონკურენტუნარიანი, დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების და ღირებულებების შესაბამისი კომპეტენციის, უწყვეტი პროფესიული ზრდის უნარის მქონე ფარმაციის ბაკალავრების მომზადებას.

პროგრამის მიზნებია:

- *სტუდენტს მისცეს ცოდნა:*
 - ფარმაცევტული მეცნიერებების ბიოსამედიცინო და ქიმიური საფუძვლების შესახებ;
 - ფარმაცევტული საქმიანობის საბაზისო პრინციპების შესახებ.
- *სტუდენტს გამოუმუშაოს:*

- ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელებაში ჩართვის უნარი (კომპეტენციის ფარგლებში);
- ფარმაცევტული ანალიზის ჩატარების და დასკვნის გაკეთების უნარი;
- ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებაში მონაწილეობის უნარი.


პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- კვალიფიციური ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელება;
- მომხმარებლის უზრუნველყოფა ეფექტიანი, უსაფრთხო ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით;
- სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების დამზადება და სერიული წარმოება;
- ტექნოლოგიური პროცესების განხორციელება და აპარატურა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლოატაცია;
- ნედლეულის, სუბსტანციის სამკურნალო საშუალებების ანალიზი, ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია.
- ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვა და სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია ანუ 8 სემესტრი და ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის შესრულებას:

- **104 კრედიტი** – საბაზისო და ზოგად-ტრანსფერული სასწავლო კურსები, მათ შორის,
 - 48 კრედიტი – საბაზისო სამედიცინო სასწავლო კურსები;
 - 40 კრედიტი - ზოგად-ტრანსფერული სასწავლო კურსები;
 - 11 კრედიტი – ქართული ენა;
 - 5 კრედიტი – სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები.
- **94 კრედიტი** – პროფილური სასწავლო კურსები;
- **12 კრედიტი** - არჩევითი სასწავლო კურსები;
- **30 კრედიტი** – ფარმაციის ინტეგრირებული მოდული.



VIII სემესტრში ხორციელდება ფარმაციის ინტეგრირებული მოდული (30 კრედიტი), რომელიც სრულდება ტესტური გამოცდით თსსუ-ის საგამოცდო ცენტრში. მოდული მოიცავს პროფილურ სასწავლო თემებს შესაბამისი მოცულობითი წილით:

- ფარმაცევტული ანალიზი - 8 პირობითი ერთეული (პ/ე),
- ფარმაცევტული ტექნოლოგიები - 8 პ/ე,
- ფარმაკოგნოსტური ანალიზი - 4 პ/ე,
- ფარმაცევტულ ზრუნვა 2 – 8 პ/ე,
- ფარმაკოთერაპიული არჩევანი - 2 პ/ე.

მოდულის განხორციელების და შეფასების წესები დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად 2011 წლის 29 დეკემბრის N244 ბრძანების საფუძველზე.

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მიღებული აქვთ ECTS-კრედიტები ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამაზე საერთაშორისო სტუდენტთა ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია უფასოა და წარმოებს ადგილზე, შესაბამისი დოკუმენტაციისა და მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანის წარდგენისას.

პროგრამის სასწავლო ენის ცოდნის დონის დადგენის მიზნით, აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს გასაუბრება ადგილზე თსსუ-ში ან სკაიპის (Skype ID: TSMU_IRD) მეშვეობით. გასაუბრების ვიდეოჩანაწერი იტვირთება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და არის ხელმისაწვდომი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება
1.1. იცის საბაზისო და ბიოსამედიცინო სასწავლო კურსები და შეუძლია კრიტიკული გააზრება ფარმაცევტულ სასწავლო კურსებთან მიმართებაში;
1.2. იცის პროფილური სასწავლო კურსები ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელებისათვის;
1.3. იცის ფარმაცევტული ნედლეულის, პროდუქციის დამზადების, ანალიზის, სტანდარტიზაციის მნიშვნელობა ეფექტიანი, უსაფრთხო, და ხარისხიანი ფარმაცოთერაპიის განხორციელებისათვის.
2. უნარი
2.1. შეუძლია სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციის, ფარმაცევტული პროდუქციის დამზადება და სერიული წარმოება;
2.2. შეუძლია სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო საშუალებების ანალიზის ჩატარება, ხარისხის კონტროლი, სტანდარტიზაცია, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარება;
2.3. შეუძლია ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელების პროცესში მონაცემების შეგროვება, კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული

<p>დასკვნების ჩამოყალიბება. წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის გზების შესახებ ანგარიშის მომზადება/წარდგენა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;</p> <p>2.4 შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.</p>
<p>3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>
<p>3.1 პროფესიულ საქმიანობაში საკუთარი საკუთარი ადგილის, როლისა და პასუხისმგებლობის გააზრებით, მონაწილეობს სამკურნალო საშუალებათა წარმოების, ხარისხის კონტროლის, დისტრიბუციის, ფარმაცევტული ზრუნვისა და რაციონალური ფარმაცოთერაპიის ახალი სტანდარტების დამკვიდრებაში;</p> <p>3.1. საკუთარი ცოდნისა და უნარების ობიექტური შეფასების საფუძველზე, უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით დამოუკიდებლად განსაზღვრავს და დაგეგმავს სწავლის საჭიროებას.</p>

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ეს მეთოდი გამოიყენება ძირითადად ლექციების დროს – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად მულტიმედიური მასალის გამოყენებით, ან მის გარეშე, აპარატურა-მანქანებისა და ტექნოლოგიური პროცესების ანიმაციური ჩვენებით.
- **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. სემინარის მიმდინარეობის დროს დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სხვადასხვა ან ერთიდაიგივე დავალების მიცემას, რომელიც შეიძლება იყოს მაგ. საანალიზო ობიექტი: მცენარეული ნედლეული, სუბსტანცია, ან პრეპარატი. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდება ფუნქციების გადანაწილება, რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და უზიარებს გუნდური მუშაობის უნარს.
- **დემონსტრირების მეთოდი** - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. სასწავლო კურსის შესწავლის სხვადასხვა ეტაპზე აუცილებელია პრაქტიკული სამუშაოს ჩატარების მეთოდის დემონსტრირება მასწავლებლის მიერ.

შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური. დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად. დემონსტრირება შეიძლება მარტივ სახეს ატარებდეს, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი ექსპერიმენტის ჩატარება.

- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ, პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - ეს მეთოდიც ლაბორატორიული სამუშაოს განხორციელებაში გვეხმარება, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- **წერთი მუშაობის მეთოდი** - სწავლების პროცესში განსაკუთრებით კი ლაბორატორიული მეცადინეობების დროს სტუდენტები აკეთებენ ჩანაწერებს შესრულებული სამუშაოს, აგრეთვე კონკრეტული სიტუაციური ამოცანების გადაჭრის გზების შესახებ ოქმების სახით.
- **პრაქტიკული მეთოდები** - სწავლების პროცესში კერძოდ ლაბორატორიული მეცადინეობების დროს სტუდენტი დამოუკიდებლად ახორციელებს ფარმაცოგნოსტულ, ფარმაცევტულ და ტოქსიკოლოგიურ ანალიზს, ასევე ტექნოლოგიურ პროცესებს შესაბამისი აპარატურა-მანქანების გამოყენებით, უსაფრთხოების წესების დაცვით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რომელიც არის სწავლის შედეგებზე, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობაზე დაფუძნებული და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლო ერთეულების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას/ცნობას, აგრეთვე სტუდენტთა მობილობას.

კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას (ერთი კრედიტი 30 საათის ტოლია), რაც საჭიროა კონკრეტული სასწავლო კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგის შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (0-100 ქულა).

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედური შეფასებას, რაც წარმოადგენს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების/ნაწილების (სტუდენტთა ყოველკვირეული/ყოველდღიური მიმდინარე აკადემიური, პრაქტიკული აქტივობები, პრეზენტაცია/ები, კოლოკვიუმი/ები და სხვა) მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 0-60 ქულით.

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასების 100 ქულიდან დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, თუ შუალედური შეფასებისა და მინიმალური საგამოცდო შეფასების ჯამით მას შეიძლება დაუგროვდეს 51 და მეტი ქულა (შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 31 ქულას).

დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (ანუ გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 % და მეტის) მიღების შემთხვევაში. სასწავლო კურსი ითვლება ჩაბარებულად, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის დადებითი ქულათა ჯამი შეადგენს 51 ქულას და მეტს.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების შესაბამისად.

შეფასების სისტემით დაშვებულია ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.

➤ დადებითი შეფასებებია:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

➤ უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ხელახლა აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის საგანში დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრით. სასწავლო კურსებს უძღვებიან შესაბამისი

პროფილის კონკურსის წესით არჩეული აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებლები. რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და, პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, ეწევიან ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით და მეთოდურ მუშაობას.

აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლის და/ან მკვლევარის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მისი კვლევითი აქტივობა, დადასტურებული სამეცნიერო პუბლიკაციებით. პრიორიტეტულია პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში. მოწვეული მასწავლებლის სტატუსის მოპოვების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი კრიტერიუმია მისი პრაქტიკული და/ან აკადემიური გამოცდილება.

პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან, ესენია:

- ლიეჟის უნივერსიტეტი (ბელგია);
- ექს-მარსელის უნივერსიტეტი (საფრანგეთი);
- მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერების და ტექნოლოგიის ტირგო-მურემის უნივერსიტეტი (რუმინეთი);
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი);
- კვებეკის შიკუტიმის უნივერსიტეტი (კანადა).

აღნიშნულ უნივერსიტეტებში სტაჟირება გაიარა ფაკულტეტის ათეულობით თანამშრომელმა, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებმა.

სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა

პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით: სასწავლო კურსის სილაბუსით, სალექციო კურსებით, ძირითადი სახელმძღვანელოებითა და დამხმარე საინფორმაციო წყაროებით, სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციებით, სწავლების მულტიმედიური ტექნოლოგიებითა და აუდიო / ვიდეო მასალებით.

საგანმანათლებლო პროგრამა, მისი შემადგენელი სასწავლო კურსები ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას, რაც გულისხმობს სამედიცინო-ბიოლოგიური, ფარმაციის მიმართულებით დაგროვილი და უახლესი, მტკიცებულებებზე დამყარებული ცოდნის და მეთოდოლოგიის სრულ და ადეკვატურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და სასწავლო დეპარტამენტების ბაზაზე არსებული ფონდი, ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფორმით შეიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. დარგის აქტუალური მიღწევების ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებზე უზრუნველყოფილია, ასევე, ჩართულობით საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში.

სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა ხორციელდება თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის (ვაჟა-ფშაველას N 33) ბაზაზე, სადაც განთავსებულია პროფილური დეპარტამენტები სპეციალური სასწავლო ლიტერატურით, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობისათვის განკუთვნილი ლაბორატორიებით, ტექნიკური აღჭურვილობებითა და კომპიუტერული ტექნიკით. სალექციო აუდიტორიები, ფარმაციის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია. საბაზისო სასწავლო კურსებს ფაკულტეტის სტუდენტები შეისწავლიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საბაზისო დეპარტამენტების ბაზაზე.

სასწავლო პრაქტიკის ორგანიზება

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფესიულ პრაქტიკას, რომელიც ხორციელდება ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორიაში, თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმის ინსტიტუტში, ფარმაცევტული კომპანიების: „ავერსი-ფარმა“, „პსპ-აფთიაქი“, ფარმაცევტული საწარმოს „ნეოფარმი“, ბაზაზე მათთან გაფორმებული მემორანდუმის და შეთანხმების საფუძველზე.

დასაქმების სფეროები

ფარმაცევტს შეუძლია მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში დასაქმდეს:

- ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში;
- ფარმაცევტულ კომპანიებში;
- სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში;
- ფარმაცევტულ საწარმოებში;
- წამლის ხარისხის უზრუნველყოფის, სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ლაბორატორიებში;
- ფარმაცევტულ ბაზებში;
- აფთიაქებში;
- ქიმიური რეაქტივებისა და სამედიცინო ტექნიკის დაწესებულებებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ფარმაციის ბაკალავრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამებზე.

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამის სასწავლო გეგმა

N	სასწავლო კურსი	კრედიტი ECTS	კრედიტები ს რაოდენობა
I სემესტრი			
1.	უმაღლესი მათემატიკის საფუძვლები	3	30
2.	ზოგადი და არაორგანული ქიმია	4	
3.	ჰისტოლოგიის საფუძვლები	3	
4.	სამედიცინო ბიოფიზიკა	3	
5.	ფარმაცევტული ბოტანიკა 1	5	
6.	სამედიცინო ბიოლოგია	2	
7.	ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია	2	
8.	საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიოსტატისტიკის ელემენტებით	2	
9.	ქართული ენა 1	4	
10.	არჩევითი სასწავლო კურსი: პროფესიული ლათინური ენა, ბიოეთიკა	2	
II სემესტრი			
1.	ადამიანის ანატომიის საფუძვლები	3	30
2.	ფარმაცევტული ზრუნვა 1	4	
3.	კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	3	
4.	პარაზიტოლოგიის საფუძვლები	3	
5.	ფარმაცევტული ბოტანიკა 2	4	
6.	ანალიზური ქიმია	5	
7.	ქართული ენა 2	4	
8.	სამეცნიერო კვლევის საფუძვლები	2	
9.	არჩევითი სასწავლო კურსი	2	
III სემესტრი			
1.	ორგანული ქიმია 1	4	30
2.	მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის საფუძვლები	4	
3.	ადამიანის ფიზიოლოგია 1	4	
4.	ფიზიკური და კოლოიდური ქიმია	4	
5.	ჰიგიენის საფუძვლები	3	
6.	კლინიკური უნარ - ჩვევები	2	
7.	ქართული ენა 3	3	
8.	მოლეკულური ბიოლოგია გენეტიკის საფუძვლებით	3	
9.	ბუნებრივი ნედლეულის კვლევის საფუძვლები	3	

IV სემესტრი			
1.	ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები	4	30
2.	ზოგადი ბიოქიმია	5	
3.	ადამიანის ფიზიოლოგია 2	4	
4.	პათოლოგია 1	3	
5.	ფარმაკოგნოზია 1	5	
6.	ორგანული ქიმია 2	4	
7.	იმუნოლოგიის საფუძვლები	3	
8.	არჩევითი სასწავლო კურსი	2	
V სემესტრი			
1.	ფარმაცევტული ქიმია 1	5	30
2.	ტოქსიკოლოგიური ქიმია 1	4	
3.	ფარმაკოგნოზია 2	5	
4.	გალენური პრეპარატების ტექნოლოგია	7	
5.	ფარმაკოლოგია 1	4	
6.	პათოლოგია 2	3	
7.	არჩევითი სასწავლო კურსი	2	
VI სემესტრი			
1.	ფარმაცევტული ქიმია 2	10	30
2.	ფარმაკოლოგია 2	4	
3.	ტოქსიკოლოგიური ქიმია 2	4	
4.	მზა წამლთფორმების ტექნოლოგია	10	
5.	არჩევითი სასწავლო კურსი	2	
VII სემესტრი			
1.	ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა	4	30
2.	კლინიკური ფარმაცია	7	
3.	ფარმაკოთერაპია	8	
4.	ფარმაკოკინეტიკის საფუძვლები	4	
5.	ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი	3	
6.	კოსმეტიკური და პარფიუმერიული საშუალებების ტექნოლოგიები	2	
7.	არჩევითი სასწავლო კურსი	2	
VIII სემესტრი			
1.	ფარმაციის ინტეგრირებული მოდული		30